

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო  
საბიუჯეტო კომისიის სხდომის  
**ოქმი №113**

2021 წ. 15 ივნისი.

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომა ჩატარდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიასთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ვაჟა ოთარაშვილი, ვახტანგ შაქარიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან- სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

(11-0121166191( საკრებულო 15-03211666-03) 11-01211613692 (15-03211622-03))

3. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე (12-032115853-03)

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ დიმიტრი ოცხელს (პ/ნ: 01010009200) შორის გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის №5-23-2-25145 ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.(12-03211581-03)

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქს“ (ს/ნ: 404580191)



შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (12-032115840-03)

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე 930 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.001.147) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-03211613-03)

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე 1600 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.001.149) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-03211611-03)

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, მიმდებარედ მდებარე 7450 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.01.001.419) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-03211612-03)

9. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა, N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.039) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (12-032115838-03)

10. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.304.01.342) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (12-032115839-03)

11. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (12-032115838)

12. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის, კორპუსი N9-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.030.010.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (12-032115839-03)

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორე ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: 81.08.21.448.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.“ (12-032115839-03)

14. „ქალაქ თბილისში, ჩიქობავას ქუჩა, N29; ქალაქი თბილისი ქუჩა გოცირიძე, N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.034.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 12-032115838-03)

15. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა სოხუმი, ჩიხი II, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.104.032.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (12-032115838-03)

16. “ ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, N22, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.119.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების, „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, N22, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.119.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 19 მაისის N21.643.723 განკარგულების ბათილად ცნობისა და „ქალაქ თბილისში მელაანის V შესახვევი, N22, კორპუსი N3-ში და N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.121 და N01.17.08.016.119) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის N20.1286.1592 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.(12-032115838-03)

17. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა, N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.050; 01.14.05.003.009.01.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (12-032115838-03)



18. ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.441, N01.19.24.007.442, N01.19.24.007.443) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე . (12-03211512-03)

19. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის I მიკრო/რაიონის კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.042.007.32.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-03211619\*5-03)

20. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026.01.009; N01.14.16.008.026.01.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (12-032116195-03)

21. “ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N22-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.11.05.011.320.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (12-03211623-03)

22. ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.05.013.032.01.551) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-03211623-03)

23. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (12-032116259-03)

24. ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N7-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: N01.18.03.062.026) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჭაიღისთვის“ (ს/კ: 405423563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. (12-032115841-03)

25. ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვიტო-99“-ისთვის (ს/კ: 203864951) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. (12-032115841-03)

26. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N53-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.065) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დანიელისთვის“ (ს/კ: 402162798) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. (12-032115841-03)

27. „ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N76-84-ის მიმდებარედ არსებული 708 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.14.11.025.016) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეიმურაზ გოცაძისთვის (პ/ნ: 01008010821) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“

#### **დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**მოისმინეს:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

#### **მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე**

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 1 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 192 526,8 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:



იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) ქვეპროგრამის ასიგნება – 900,0 ათასი ლარით და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) პროგრამის ასიგნება - 264,3 ათასი ლარით.

მცირდება გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნება – 164,3 ათასი ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 123 092,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 073 949,4 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

გადასახადები 654 129,4 ათასი ლარი, მათ შორის:

საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 157 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 19 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი;

დამატებული ღირებულების გადასახადი – 462 129,4 ათასი ლარი.

გრანტები 236 152,6 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 692,6 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 205 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 30 000,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 183 667,4 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 10 300,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 25 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 55 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 11 500,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები – 33 867,4 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 192 526,8 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 889 030,0 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 287 889,2 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 15 607,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 184 919,4 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 238 889,2 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 287 889,2 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება – 49 000,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს ( 69 577,4 ) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება – 69 477,4 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 69 434,2 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (15 607,6) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 15 607,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (53 969,8) ათასი ლარით.

#### **მომხრე-7**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგელების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

#### **მომხსენებელი-ლევან მიქავა.**

ლევან მიქავას განმარტებით წარმოდგენილია რაიონული გამგეობების და ზოგიერთი საქალაქო სამსახურის მოთხოვნა მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების კვარტალური ცვლილებების შესახებ.

ნაძალადევის რაიონის გამგეობა „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში ითხოვს 180000 ლარის დამატებას მეორე კვარტალში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად, ხოლო „კეთილმოწყობითი



ღნისძიებების,, პროგრამაში ჯამში 42 900 ლარის დამატებას, ასევე 260 000 ლარის დამატებას ითხოვს მეორე კვარტალში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში.

ინის რაიონის გამგეობა „გზების მოვლა შეკეთების ,, პროგრამაში ითხოვს 500 000 ლარის გადატანას მეორედან მომდევნო კვარტლებში, ხოლო სამგორის რაიონის გამგეობა - „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში, მეორე კვარტალში ამატებს ჯამში 400 000ლარს.

წარმოდგენილია ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოთხოვნა „შრომის ანაზღაურების“ მუხლის მეორე კვარტლის გეგმის 20 000 ლარით გაზრდაზე, კლასიფიკაციის მუხლის „საქონელი და მომსახურება“ შესაბამისად შემცირებით.

ასევე წარმოდგენილია გლდანის რაიონის მოთხოვნა „გზების მოვლა შეკეთების ,, პროგრამაში მეორე კვარტალში „საქონელი და მომსახურების“ მუხლის 146 000 ლარით გაზრდის შესახებ, დიდუბის რაიონის მოთხოვნა 182 650 ლარის მუხლობრივ ცვლილებაზე და ვაკის რაიონის მოთხოვნა იმავე პროგრამის „საქონელი და მომსახურების ,, მუხლის 365 000 ლარით გაზრდის შესახებ.

ვაკის რაიონის გამგეობა ასევე ითხოვს „კეთილმოწყობითი ღნისძიებების ,,პროგრამაში მეორე კვარტლის გეგმის გაზრდას 664 000 ლარით, მთაწმინის რაიონის გამგეობა კი 709 000 ლარით გაზრდას.

კოისიის წევრების შეკითხვებზე ლევან მიქავამ დაწვრილებით განმარტა თუ რის გამო ხდება წარმოდგენილი კვარტალური ცვლილებები.

**მომხრე-7**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფტრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე **დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:**

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს **თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

**მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონა ვირუსის -„COVID 19“-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით, პანდემიაზე შესაბამისი რეაგირებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარება-ხელშეწყობის მიზნით, გამოცემულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 მაისის N20.479.625 და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N79 განკარგულებები.

აღნიშნული განკარგულებების შესაბამისად, ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდა ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ და შესაბამისი მოიჯარეებისთვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის შემცირდა საიჯარო ქირა და განისაზღვრა 0 (ნული) ლარის



ოდენობით. ამასთან, მოიჯარეები გათავისუფლდნენ 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე პერიოდზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

2020 წლის ნოემბერში, გამწვავებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო კორონა ვირუსთან დაკავშირებით მოქმედმა უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების გამკაცრებისა და ახალი შეზღუდვების დაწესების თაობაზე გასცა დადებითი რეკომენდაცია. დღეის მდგომარეობით შემსუბუქებულია ზემოაღნიშნული შეზღუდვები - აღდგა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება, ასევე, დაშვებულ იქნა კვების ობიექტების ფუნქციონირება კვირის დღეებში. თუმცა, კვლავ ძალაშია რიგი შეზღუდვები, მათ შორის, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ღამის საათებში გადაადგილების აკრძალვა. აღნიშნული გარემოებები, მათ შორის, საღამოსა და ღამის საათებში გადაადგილების შეზღუდვა, ასევე, მოქალაქეთა მობილობის შემცირება და ზოგადი ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი ვარდნა ნეგატიურად აისახა/ისახება მეწარმეების ეკონომიკურ საქმიანობაზე, განსაკუთრებით კი ქალაქ თბილისში არსებულ ღია კაფეს ტიპის დაწესებულებებზე. შესაბამისად, მიუხედავად შეზღუდვების შემსუბუქებისა, არსებული პროგნოზების გათვალისწინებით, აღნიშნული ტიპის დაწესებულებებს მიმდინარე წლის განმავლობაშიც გაუჭირდებათ შემოსავლების პანდემიამდე არსებულ ნიშნულზე დაბრუნება. ამასთან, საგულისხმოა, რომ დღეის მდგომარეობით, არსებული ეპიდ-ვითარების გათვალისწინებით, პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით დაწესებული შეზღუდვების სრულად გაუქმების/აღმოფხვრის თარიღი ჯერ-ჯერობით უცნობია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, იმისათვის, რათა კიდევ უფრო არ გაუარესდეს ღია კაფეს მიზნით გადაცემული უძრავ ქონების მოიჯარეთა ფინანსური მდგომარეობა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების მიმართ განხორციელდეს დამატებითი ხელშეწყობის ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მაისის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და მოიჯარეებს შორის გაფორმებულია ჯამში დაახლოებით 152 მოქმედი ხელშეკრულება. მოიჯარეებს წარმოადგენენ სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოიჯარეებისთვის, 2021 წლის 1 თებერვლიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის შემცირებასა და 0 (ნული) ლარის ოდენობით განსაზღვრას. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ხელშეკრულებების თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 680,000.00 ლარს.

კომისიის წევრების შეკითხვაზე ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მოიჯარეს, რომელსაც 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვს საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი ან/და 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვლება მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მაისის თვის მდგომარეობით, მოიჯარეების მიერ 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე გადახდილი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 54,000.00 ლარს.

ასევე, მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 31 დეკემბრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვლება და განესაზღვრება 0 (ნული) ლარის ოდენობით.



ასევე საგულისხმოა, რომ განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გადახდილი საიჯარო ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას, რაც, მათ შორის, მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, თუ გადახდილი საიჯარო ქირის ჩათვლა იქნება შეუძლებელი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან საიჯარო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახება იმ ქვემოიჯარეებზეც, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ პროექტით გათვალისწინებული მოიჯარისაგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ამასთან, წარმოდგენილი განკარგულების თანახმად, განკარგულებით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ, რაც მოიცავს, მათ შორის, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ: 206267494) (შემდგომში - „თბილსერვისი“) მოიჯარეებს. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მაისის თვის მდგომარეობით, თბილსერვისსა და მოიჯარეებს შორის გაფორმებულია 1 მოქმედი ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, განკარგულებით გათვალისწინებულ (2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) პერიოდზე თბილსერვისისთვის გადასახდელი სარგებლობის ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 15,300.00 ლარს.

კომისიის წევრების შეკითხვაზე, რაც ეხებოდა პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშებას, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიღების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის განსაზღვრულ საიჯარო ქირას ჯამში დაახლოებით 680,000.00 ლარის ოდენობით.

**მომხრე-7**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგელების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ დიმიტრი ოცხელს (პ/ნ: 01010009200) შორის გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის №523-2-25145 ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

**მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ დიმიტრი ოცხელს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის №523-2-25145 ხელშეკრულების“ ერთერთი პუნქტის თანახმად, აუქციონში გამარჯვებულს დროებით სარგებლობაში, 5 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 45 კვ.მ. უძრავი ქონება (ს/კ: 01.17.01.065.065). აუქციონის პირობას წარმოადგენდა მსუბუქი კონსტრუქციის კაფეს („კაფე-ტრამვაის“) განთავსება, ხოლო ყოველწლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 11,124 ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოიჯარეს უარი ეთქვა იჯარის საგანზე კაფე-კონკას განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური)



შეთანხმების გაცემაზე, ვინაიდან ტერიტორია წარმოადგენს ფეხითმოსიარულეთა სავალ ნაწილს და საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი კაფე-კონკას განთავსების შემთხვევაში შეფერხდება ფეხითმოსიარულეთა თავისუფალი გადაადგილება. აქედან გამომდინარე, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია იჯარის საგნის ადგილმონაცვლეობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოიჯარემ სააგენტოს მიმართა თხოვნით იჯარის საგნის ადგილმდებარეობის ცვლილების/კორექტირების თაობაზე.

**მომხრე-7**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე”

**მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

ირაკლი თავართქილაძის თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წელს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-482-1-23724 ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი, IV მიკრო/რაიონსა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული 117,955 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები, კერძოდ, N01.11.17.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 24,485 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული N1, N2, N3, N4, N5, N6 და N7 შენობა-ნაგებობები და N01.11.17.006.844 საკადასტრო ერთეულზე მდებარე 93,470 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული N1 დან N10-ის ჩათვლით შენობა-ნაგებობები.

აუქციონის შესაბამისად, შეძენილი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 23,323,170.00 ლარი, რომელიც კომპანიამ დაფარა .

ხელშეკრულების ერთერთი პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს დაეკისრა პრივატიზებულ ქონებაზე 8,000,000.00 (რვა მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით ინვესტიციის განხორციელება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის ვადაში შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

- ა) პირველ წელს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობის ინვესტიცია;
- ბ) მე-2 წელს ჯამში 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობის ინვესტიცია;
- გ) მე-3 წელს ჯამში 6 000 000 (ექვსი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობის ინვესტიცია;
- დ) მე-4 წელი ჯამში 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობის ინვესტიცია.

კომპანიამ მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ხელშეკრულებით განსაზღვრული 8 000 000 ლარის ოდენობით ინვესტიციის განხორციელების ვადის 1 წლით გახანგრძლივება. გადავადების მოთხოვნისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეუსრულებლობის გამომწვევ მიზეზად, მყიდველი ასახელებს კოვიდ პანდემიასა და მთელი ქვეყნის მასშტაბით, პანდემიაზე რეაგირების მიზნით, დაწესებული შეზღუდვების არსებობას. გარდა ამისა კომპანიამ ხელშეკრულების დებულებების დაზუსტების მიზნით მოითხოვა მყიდველის მოიჯარეების/ქვემოიჯარეების მიერ გაწეული დანახარჯების ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობაში ჩათვლა.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა იწონებს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტს, რომლის თანახმადაც, ცვლილება



შედის კომპანიის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის გეგმა-გრაფიკში, ასევე, ინვესტიციის განხორციელების თაობაზე შესაბამის მუხლს (მე-3 მუხლი) ტერმინთა დაზუსტების მიზნით ემატება ინვესტიციაში ჩასათვლელი დანახარჯების განმარტებითი ნაწილი და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„3. საინვესტიციო ვალდებულება განისაზღვროს 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით, ეროვნულ ვალუტა ლარში ინვესტიციის განხორციელების მომენტში დადგენილი ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულების გაფორმების თარიღში (2019 წლის 23 სექტემბერი) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსისა ((2.9759). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციის განხორციელების მომენტში ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის ლართან მიმართებით დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მაჩვენებელი იქნება პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მაჩვენებელზე დაბალი, განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა გამოითვლება მისი განხორციელების მომენტში არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, საინვესტიციო ვალდებულება უნდა შესრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 წლის ვადაში, (2022 წლის 23 სექტემბრიდან 2025 წლის 23 სექტემბრამდე- პირველ წელს 1 000 0000 აშშ დოლარის , მეორე წელს ჯამში 3 000 000 აშშ დოლარის, მესამე წელს ჯამში 6 000 000 აშშ დოლარის და მეოთხე წელს ჯამში 8 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება).

უნდა აღინიშნოს , რომ მყიდველის მიერ განხორციელებულ ინვესტიციად ჩაითვლება უძრავ ქონებაზე მოიჯარეების/ქვე-მოიჯარეების მიერ განხორციელებული ინვესტიცია, ამ მუხლით დადგენილი პირობებისა და ვადების (გრაფიკის) შესაბამისად. ასევე აღსანიშნავია, რომ ინვესტიციად მიიჩნევა მხოლოდ კაპიტალიზებადი ხარჯები, რაც გულისხმობს უძრავი ქონების განვითარების მიზნით გაწეულ ისეთ ხარჯებს, რომელიც უკავშირდება უძრავ ქონებას და გაწეულია ამ უძრავ ქონებაზე ან/და მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილისთვის.

**მომხრე-7**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგელების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე 930 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.001.147) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.**

წარმოდგენილია თანხმობის მისაღებად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N21.753.864 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე 930 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.001.147) გაცვლის ფორმით პრივატიზება, ღია რამიშვილის (პ/ნ 01011065364) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N18ბ-ში მდებარე 930 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 18 კვ.მ შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.001.025) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, საკითხთან დაკავშირებით ქონების მართვის სააგენტოში შემოვიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩაზე არსებობს ერთერთი გამყოფი ზოლი და კარგი იქნება აღნიშნული განვითარებული იყოს რეკრეაციული კუთხით. უნდა აღინიშნოს რომ ამ ტერიტორიის ნაწილი წლების განმავლობაში გასხვისდა,



